ნაციონალებმა ივანიშვილს კარგი პიარი გაუკეთეს

გაზეთი “ახალი თაობა” – 17 ნოემბერი, № 271, 2011

მოქმედებს თუ არა გიორგი ქადაგიძე მთავრობის დაკვეთით და რა ვერ გათვალა სააკაშვილმა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, ქვეყნისთვის საკმაოდ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, მეცენატი, რომელმაც პირობა დადო, რომ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვა და თანაც არჩევნების გზით. თქვენი აზრით, მილიარდერი ივანიშვილი უპრობლემოდ შეძლებს სააკაშვილის ხელისუფლებისთვის არჩევნების მოგებას?

– უპრობლემოდ არაფერი არ იქნება. რა თქმა უნდა, ეს პრობლემატურია, მათ შორის ბიძინა ივანიშვილისთვის, როგორი პოპულარული და მდიდარიც არ უნდა იყოს. მაგრამ მისი განცხადება არის აბსოლუტურად სწორი. გვინდა თუ არა ჩვენ უმრავლესობა? – ივანიშვილის მიერ შექმნილი უმრავლესობის მე, პირადად, ნაკლებად შემეშინდება. იმიტომ, რომ ივანიშვილი ჯერჯერობით თავის პარტიას ხომ ვერ ქმნის, რადგან მოქალაქე არ არის, მაგრამ რომც შექმნას, არჩევნებში ის რამდენიმე პარტიის ალიანსით გამოვა. მან უკვე დაასახელა ალასანია თავისი „თავისუფალი დემოკრატებით“ და რესპუბლიკელები ანუ აშკარად გამოხატული პროდასავლური პარტიები. არ არის გამორიცხული, სხვა პარტიებიც მოიაზრებოდნენ ამ ალიანსში მით უფრო, რომ ამ პარტიების ხელმძღვანელებთან მას ჰქონდა შეხვედრები. ის შეხვდა „ეროვნული ფორუმის“, კონსერვატორული პარტიისა და „ხალხის პარტიის“ ლიდერებს. ასევე შეხვდა მრეწველების ლიდერსაც. როგორ იქნება, ვინ იქნება მასთან ალიანსში და ვინ არა, ეს ნამდვილად არ ვიცი. მაგრამ ალიანსი აუცილებლად იქნება. სულ ცოტა მასთან

ერთად იქნება „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“. ამიტომ ასეთი უმრავლესობა ჩემთვის საშიში არ არის. იმიტომ, რომ თუ რაღაც პრობლემები იქნება ეს ალიანსი სამ ფრაქციად მაინც დაიშლება. მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ დღეს რეალური ცვლილებები საქართველოში იქნება შეუძლებელი, თუ ივანიშვილმა კონსტიტუციის შეცვლა ვერ მოახერხა. კონსტიტუცია შესაცვლელია. სხვა თუ არაფერი, პარლამენტი თბილისში იქნება დასაბრუნებელი; და თბილისს უნდა დაუბრუნდეს სრულფასოვანი დედაქალაქის სტატუსი. აქედან გამომდინარე, როცა კონსტიტუციურ ცვლილებაზე ლაპარაკობს, მესმის. თუმცა, მოდით ვიყოთ რეალისტები: როცა ბატონი ბიძინა იძახის, რომ უმრავლესობით უნდა მოვიდეს, მე მისი მესმის. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ის მართლა შეძლებს უმრავლესობით მოსვლას. ეს ძალიან ძნელი სათქმელია, იმიტომ, რომ ნაციონალების საქმე სულაც არ არის დამთავრებული. კი არიან შოკში და ამის გამო ძალიან ბევრ სიბრიყვეს იძახიან, მაგრამ ნამდვილად არ ვთვლი, რომ ნაციონალების საქმე უკვე დასრულებულია. იმიტომ, რომ მათ ხელთ არის სახელმწიფო მანქანა, ისინი საკმაოდ ძლიერნი არიან ინსტიტუციურად და საკმაოდ გამობრძმედილები არჩევნების გაყალბებაში.

– საგარეო მხარდაჭერა ექნებათ თუ არა, ამასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს?

– რა თქმა უნდა აქვს, მაგრამ რომც არ ჰქონდეთ საგარეო მხარდაჭერა, მერე რა?! დასავლეთისთვის მთავარია, რომ აქ იყოს სტაბილურობა. გაიხსენეთ, როდესაც ეგვიპტეში მუბარაქს პრობლემა შეექმნა, აშშ თავიდან საჯაროდ უჭერდა მხარს მუბარაქს. ხალხის რიცხვმა რომ მოიმატა და საპროტესტო აქციები სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებდა, ამერიკელებმა პოზიციები მერე დათმეს.

– თქვენ სახელმწიფო მანქანა ახსენეთ. ეს საკმარისი რესურსია სააკაშვილისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად?

– რა თქმა უნდა. თუ ივანიშვილმა და მის ალიანსში შესულმა პარტიებმა მოახერხა ის, რომ ნაციონალებს პარლამენტში უმრავლესობა არ ექნა, განსაკუთრებით კონსტიტუციური უმრავლესობა, თუ ნაციონალებს შეექმნებათ პრობლემა პრემიერ-მინისტრის გაყვანის, თუნდაც კონსტიტუცია რომ არ

შეიცვალოს, ეს უკვე სერიოზული გამარჯვება იქნება ქართულ პოლიტიკაში. სხვა თუ არაფერი, რეალურად ხალხს მეტი ყურადღება მიექცევა და ნაკლებად იქნება ისევ და ისევ ეს „ჩარეცხილების“ თემა. თუ ივანიშვილი უმრავლესობით ვერ მოვიდა, მთავარია რომ ის მაინც მოხერხდეს, რომ სააკაშვილს არ ჰქონდეს საპარლამენტო გარანტია, რომ ის დარჩეს ქვეყნის პირველ პირად და გახდეს პრემიერ-მინისტრი.

– მართლაც უშეცდომოდ შემოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში?

– ივანიშვილი პოლიტიკური ფიგურა არასდროს ყოფილა, ბოლო ერთი თვეა რაც პოლიტიკაში შემოიჭრა. უფრო მეტიც, საჯარო ფიგურაც არ ყოფილა. ამდენი წელია კეთილ საქმეს აკეთებს და ბევრს მისი სახეც არ ჰქონდა ნანახი. ბევრმა ისიც არ იცოდა, თუ როგორი მოსაუბრეა. ხომ გახსოვთ, რა ჭორები დადიოდა: არ ჩანს იმიტომ, რომ რაღაც ნაკლი აქვს. პირადად როცა შევხვდი, ეს იყო ერთი თვის წინ, ჩემს წინაშე დადგა ძალიან საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანი, რაც ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. იმიტომ, რომ არ იყო თავსებადი ჩვენს აღქმასთან, რომ აკეთებდე ამხელა კეთილ საქმეს, იყო ასეთი პოპულარული და შენს შესახებ არავინ არაფერი იცოდეს, საზოგადოება სახეზეც არ გიცნობდეს. ამიტომ ივანიშვილმა გააკეთა პირველი ნაბიჯები. ბავშვი პირველ ნაბიჯებს რომ დგას, ხომ ვარდება, სანამ სიარულს ისწავლის? პოლიტიკაშიც ასეთივეა პირველი ნაბიჯები, როგორიც ადამიანის ცხოვრებაში. შეიძლება ყველა ნაბიჯი არ იყო ბოლომდე სწორად გადადგმული. შეიძლება თავიდანვე არ უნდა ეთქვა, მე სამი ქვეყნის მოქალაქე ვარ და აქედან ორს დავტოვებ. რუსეთის მოქალაქეობა დაეტოვებინა და მერე გაეკეთებინა განცხადება, ან საერთოდ არ ეთქვა ამის შესახებ. აი, ეს შეიძლება შეცდომად ჩავუთვალოთ იმიტომ, რომ სწორედ ეს გამოიყენა მთავრობამ მის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, შეიძლება სულაც არ არის შეცდომა. იმიტომ, რომ მთავრობას რომ მისთვის მოქალაქეობა არ ჩამოერთმია, მას ისეთი მხარდაჭერა საზღვარგარეთიდან არ ექნებოდა, როგორიც დღეს აქვს. ამიტომ შეიძლება პირიქით, პლუსშიც ჩავუთვალოთ, რომ მან ეს თქვა. იმიტომ, რომ ამით მან ხელისუფლების პროვოცირება გამოიწვია: სააკაშვილმა ჩამოართვა მას მოქალაქეობა და ამას მოყვა ის, რაც მოყვა. სხვა თუ არაფერი, გავიხსენოთ, როგორ მწკრივში ჩადგა ყველა ელჩი, რომელიც არის აკრედიტებული თბილისში

და ერთ დაძახებაზე ყველა ივანიშვილთან მივიდა. ეს საკმაოდ სერიოზული ჟესტი იყო მათი მხრიდან. ამიტომ შეიძლება ესეც არ ჩავუთვალოთ ივანიშვილს შეცდომად: არ ვიცი, მას ეს გათვლილი ჰქონდა თუ არა. მერე რა პუბლიკაციები დაიდო დასავლეთში. იგივე სააკაშვილის ნაქები ნოვოდვორსკაია და ბარავოიც რომ აუმხედრდნენ სააკაშვილს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით – ესეც ხომ რაღაცის მანიშნებელია. აშკარაა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევამ სააკაშვილის რეჟიმი კიდევ ერთხელ გააშიშვლა.

– ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ივანიშვილის გამოჩენამ პანიკაში ჩააგდო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– ძალიან ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების ნაბიჯები არის პრიმიტიული. ყველაზე ლოგიკური იყო მოქმედება ყოფილიყო აბსოლუტურად ინდეფერენტული. როცა ივანიშვილმა განცხადება გააკეთა, ნაციონალები ამას მშვიდად უნდა შეხვედროდნენ და საერთოდ არ მიექციათ ყურადღება. მე მათ ადგილზე საერთოდ არც დავუპირისპირდებოდი და გავაპიარებდი, რომ მორიგი პარტია იქმნება და მეტი არაფერიო.

– ძალაუფლების დაკარგვის შიშმა ჩააგდო მმართველი გუნდი პანიკაში?

– რა თქმა უნდა. და რატომ იცით? ამის შესახებ დავით ბერძენიშვილმა თქვა და მე ხშირად ვიმეორებ: სააკაშვილის რეჟიმმა ქარველი მოსახლეობა გააღარიბა. იმისათვის, რომ ღარიბი მოსახლეობის ხმის ყიდვა ადვილია არჩევნების დროს. მაგრამ ეს ღარიბი ამომრჩეველი ახლა სააკაშვილს თავის საწინააღმდეგოდ შემოუტრიალდა. იმიტომ, რომ ასევე იაფი დაუჯდება ამ ხმების ყიდვა მილიარდერ ივანიშვილს. ამიტომ ყველაზე სწორი იყო, ივანიშვილისთვის არც მოქალაქეობა ჩამოერთმიათ და არც კომენტარები ეკეთებინათ. აგრესიული ქმედებით ნაციონალებმა ივანიშვილს კარგი პიარი გაკეთეს.

– სააკაშვილი დარწმუნდა რომ ძალაუფლებას კარგავს და ამან განაპირობა მისი გუნდის შიშიც?

– რა თქმა უნდა, ძალაუფლებას კარგავენ. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ თავიდან „რეფორმების ფონდი“ რომ შეიქმნა, რომელშიც თავიდან სოროსმა 1 მლნ ჩადო რევოლუციური მთავრობის დასახმარებლად, გაირკვა, რომ 20 მლნ ბიძინა ივანიშვილს ჩაუდია. რა თქმა უნდა, მაშინ ის რუსული ფული არ იყო. რა

განცხადებები კეთდება დააკვირდით, ივანიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე რომ არ გამოსულიყო და ქველმოქმედება გაეგრძელებინა, პრობლემა არ იყოო. თურმე რუსული ფულით ქველმოქმედება შეიძლება. რუსული ფულით ეკლესიების მშენებლობა შეიძლება, მაგრამ პოლიტიკაში ივანიშვილი როგორ შეიძლებაო. ნამდვილად არ მესმის იმ ნაციონალების, ვინც ამას იძახის. თურმე ცისკარიშვილი, გაბაშვილი, მინაშვილი და სხვები, ვინც ამას იძახის შეიძლება პოლიტკაში იყვნენ და ივანიშვილი არ შეიძლება. ვერ ხვდებიან ან არ უნდათ რომ აღიარონ, რომ იმას ადამიანი უნდა იყოს თუ არა აქტიურ პოლიტიკაში, ეს ამომრჩევლის გადასაწყვეტია.

– ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლით ფინანსურად შეიძლება დაზარალდეს?

– რა თქმა უნდა. მის ბიზნმესს პრობლემები უკვე გაუჩნდა. მაგრამ არ ვთვლი, რომ ეს ის პრობლემებია, რომელმაც მილიარდერი უნდა გააღატაკოს. მისი „ქართუ ბანკი“ პირდაპირ დააყაჩაღეს. პრაქტიკულად დაყაჩაღებულია 2 მლნ დოლარი და 1 მლნ ევროთი. ვიღაცისთვის ეს შეიძლება გაკოტრების მომასწავებელი ყოფლიყო, მაგრამ მილიარდერისთვის ეს გაკოტრება ვერ იქნება. მაგრამ ფინანსური პრობლემა უკვე შექმნილია.

შორენა კოწოწაშვილი